საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.10.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 086/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ხ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ხ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ხ., 2001 წლიდან, საადვოკატო მომსახურებას უწევდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს - ნ. ხ.-ს, რომელთანაც დავა მიმდინარეობს 2001 წლიდან. დავის საგანი იყო 1975-1976 წლებში ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში აშენებულ სახლზე საკუთრების უფლების მოპოვება, რომელიც მისი განმარტებით აშენებული იყო მისი თანხებით და მის მიერ, თუმცა მისი და, ნ. ხ. ეცილებოდა მას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და იგი დარჩა საცხოვრებელი სახლის გარეშე, ვინაიდან 2001 წელს ადვოკატმა ნ. ხ.-მ ფული გადაუხადა მოსამართლეს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სასამართლოში, სამოქალაქო საქმეზე №2/XXX მოხდა მის მიერ დაწერილი საჩივრის ჩანაცვლება, ადვოკატ ნ. ხ.-ს მიერ დაწერილი საჩივრით, რაშიც დაეხმარა მ. ხ.-ს ადვოკატი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის მარტის თვეში კვლავ მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით, სადაც მოითხოვა ნ. ხ.-სთვის 40 000 აშშ დოლარის დაკისრება, რაც წარმოადგენდა მის მიერ, სადაო სახლზე გაწეულ დანახარჯებს. 2014 წლის 31 მარტს თელავის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. ხ.-ს სარჩელი, რის შემდეგაც მან აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 15 აპრილს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. ამავე დღეს, საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლემ მიმართა ნ. ხ.-ს, რატომ გამოაგდო ხუთსულიანი ოჯახი გარეთ, რის შემდეგაც ნ. ხ.-მ დატოვა სხდომის დარბაზი. საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების შემდეგ, 2016 წლის 30 ნოემბერს, თელავის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მ. ხ.-ს მოთხოვნა და ნ. ხ.-ს დააკისრა 40 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 15 აპრილს, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ ადვოკატმა ნ. ხ.-მ სადავო სახლი გადაიფორმა საკუთარ თავზე, რის შესახებ საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაიგო, როდესაც 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიმართა სააღსრულებო ბიუროს. საჩივრის ავტორის განმარტებით ეს იყო ფიქტიური გარიგების შედეგი, ამ უკანონო ქმედებას კი ხელი შეუწყო 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებამ სახლზე ყადაღის დადებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, არასწორია ადვოკატ ნ. ხ.-ს მითითება, თითქოს მ. ხ. ითხოვდა სახლზე თანამშენებლად ცნობას, რადგან სახლი სრულად მისი რესურსებით არის აშენებული და იგი ითხოვს მის საკუთრებაში გადმოცემას. საჩივრის ავტორის განმარტებით, სახლზე საკუთრება გაფორმებული იყო ნ. ხ.-ს სახელზე იმ მიზეზით, რომ თავად მ. ხ., გარკვეული დროის მანძილზე, არ იმყოფებოდა საქართველოში.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს დავა ადვოკატ ნ. ხ.-ს წინააღმდეგ, სადაც ითხოვს სადავო სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. აღნიშნულ პროცესზე მოსამართლემ შეკითხვა დაუსვა ნ. ხ.-ს, მიიღო თუ არა ნ. ხ.-სგან ნასყიდობის საფასური, რაზედაც ადვოკატმა უკარნახა მას, რომ ეთქვა ფულის მიღების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის დარწმუნებულია, რომ ნ. ხ.-მ სადაო სახლი თვალთმაქცურად გაასხვისა და თანხა არ აუღია.

1.9 მ. ხ.-ს მოთხოვნაა ადვოკატს შეუწყდეს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება, ვინაიდან მის მიერ ქონების გადაფორმება მოხდა სადავო პროცესში, თვალთმაქცურად, რაც არ შეეფერება ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2017 წლის 9 ნოემბერს ადვოკატმა ნ. ხ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება მ. ხ.-ს საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატმა ასევე მონაწილეობა მიიღო საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებში.

2.2 ნ. ხ.-ს განცხადებით, მ. ხ.-მ სთხოვა მის დას, ნ. ხ.-ს ახმეტის რაიონში, სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სახლის დათმობა, ხოლო აღნიშნულზე უარის თქმის შემდეგ მ. ხ.-მ დაიწყო სასამართლოში დავა, თითქოს ნ. ხ.-ს სახლი მან ააშენა და მას ეკუთვნოდა. სინამდვილეში, ადვოკატის განმარტებით, მიწა იყიდა ნ. ხ.-მ, ხოლო სახლის აშენებაში მას ეხმარებოდნენ ძმები, დები, მეგობრები და ნათესავები. ადვოკატის განმარტებით, ნ. ხ.-სა და მ. ხ.-ს შორის დავა 2001 წელს დაიწყო.

2.3 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საქმე განიხილა სამი ინსტაციის სასამართლომ და საბოლოოდ გადაწყვეტილება ნ. ხ.-ს სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. ის 2001 წლიდან 2012 წლამდე, დავის მიმდინარეობის პროცესში საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. ხ.-ს და იღებდა მომსახურების შესაბამის საფასურს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, 2014 წელს, მას მიაკითხა ნ. ხ.-მ, რომელმაც სთხოვა სახლის გაყიდვაში დახმარება. ნ. ხ.-მ ჰკითხა მას თუ რა ფასად სურდა სახლის გაყიდვა, რაზედაც ნ. ხ.-მ უპასუხა, რომ 21 000 აშშ დოლარად. რამდენიმე დღის შემდეგ ნ. ხ.-მ კვლავ მიაკითხა ნ. ხ.-ს და ჰკითხა სახლის ყიდვით ხომ არავინ იყო დაინტერესებული. ნ. ხ.-მ მას ჰკითხა, თუ რამდენად შეიძლებოდა მისთვის მიეცა. ნ. ხ.-სთან და მის შვილთან მოლაპარაკების შემდეგ, მათ შორის შედგა შეთანხმება და ადვოკატმა 17 000 აშშ დოლარად შეიძინა სახლი და ნ. ხ.-ს საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი. თანხა გადასცეს ხელში, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრასტაცია მოგვიანებით, 2016 წელს მოახერხა, რაც გამოწვეული იყო ნ. ხ.-ს და შემდეგ ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობით. ადვოკატის განმარტებით, 2016 წლამდე ის ფაქტობრივად ფლობდა ქონებას, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ახერხებს ქონების ფლობას, რადგან მ. ხ. არ აძლევს ამის საშუალებას.

2.5 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა, რომ თელავის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, სადაც მოსარჩელე მ. ხ., ხოლო მოპასუხე მხარე თავად ადვოკატია. დავის საგანს წარმოადგენს ახმეტის რაიონში, სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

2.6 ადვოკატის განცხადებით, მ. ხ. ხშირად ურეკავს მას ტელეფონზე, აყენებს სიტყვიერ შეუარცხყოფას და ემუქრება. ადვოკატის განმარტებით, მ. ხ.-ს საჩივარი საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელია და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2018 წლის 24 იანვარს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიის მითითებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის დროს, გადაიფორმა კლიენტის სახელზე რიცხული ქონება. აღნიშნული მოქმედება განახორციელა მაშინ, როდესაც კლიენტისგან ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებამოსილებას იურიდიული ძალა კვლავ ჰქონდა არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის რეალურად არსებობის დროს. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით მათ დამატებით, გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი უფლება-მოვალეობები წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ. ამ ფაქტს კი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადვოკატის საქმიანობაზე და ხელი შეუშალოს მის მიერ დამოუკიდებელი პროფესიული განსჯის განხორციელებას. სწორედ ამიტომ საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

5 საქმის ფატობრივი გარემოებები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ნ. ხ. წარმოადგენდა მ. ხ.-ს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს 2001 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მიმდინარე სასამართლო სხდომებში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ახმეტის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/XXX-2001;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 6 მარტის და 17 აპრილის სხდომის ოქმები;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი, საქმეზე N3კ/XX-02
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინება საქმეზე N2ბ/XX-15
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/XXX-16
- თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივლისის სააღსრულებო ფურცელი საქმეზე N2/XXX-16.

5.1.2 მ. ხ.-სა და ნ. ხ.-ს შორის უძრავ ქონებაზე, მდებარე - ახმეტა, სოფელი ქვემო ა., მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მიმდინარეობდა დავა 2001-2002 წლებში:

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- -ახმეტის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/XXX-2001;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 6 მარტის და 17 აპრილის სხდომის ოქმები;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი, საქმეზე N3კ/XX-02

5.1.3 მ. ხ.-სა და ნ. ხ.-ს შორის ნ. ხ.-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე - ახმეტა, სოფელი ქვემო ა., გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნით მიმდინარეობდა დავა 2014-2017 წლებში:

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინება საქმეზე N2ბ/XX-15
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/XXX-16
- თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივლისის სააღსრულებო ფურცელი საქმეზე N2/XXX-16.

5.1.4 ადვოკატმა ნ. ხ.-მ უძრავი ნივთი მდებარე - ახმეტა, სოფელი ქვემო ა., შეისყიდა ნ. ხ.-სგან და ნ. ა.-სგან 2016 წლის 20 აპრილს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2016 წლის 20 აპრილის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება.

5.1.5 მ. ხ.-სა და ადვოკატ ნ. ხ.-ს შორის უძრავ ქონების, მდებარე - ახმეტა, სოფელი ქვემო ა., ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე მიმდინარეობს დავა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლი:

„ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. “

7.2 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელმა, კანონიერების პრინციპის დაცვით, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთოვნების გათვალისწინებით. ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს ისეთ გარემოებებს, რაც მის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენას მოახდენს. აღნიშნული ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და უზრუნველყოფს ადვოკატთა კორპორატიული მიზნის დაცვას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში საქმიანობას.

7.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე № 057/10, განმარტა, რომ „ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლებისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე. ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.“

7.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

7.5 მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ირკვევა, რომ ნ. ხ.-სა და ნ. ხ.-ს შორის საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო დავის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია, რომ მ. ხ. ნ. ხ.-ს წინააღმდეგ სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნით, თუმცა სადავო საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული მოთხოვნებით 2001 წლიდან 2018 წლამდე აწარმოებდა დავას. ადვოკატი ნ. ხ. ყველა ამ დავაში ჩართული იყო, როგორც ნ. ხ.-ს წარმომადგენელი. შესაბამისად, ადვოკატისთვის ცნობილი იყო ყველა გარემოება, რაც სადაო სახლის გარშემო არსებობდა. მიუხედავად ამისა, ნ. ხ.-მ 2016 წლის 20 აპრილს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაიფორმა სახლი. მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, დღევანდელი მდგომარეობით სახლი კვლავ ნ. ხ.-ს საკუთრებაში ირიცხება, თუმცა მიმდინარეობს დავა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

7.6 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის კეთილსინდისიერმა მოქმედებებმა უნდა უზრუნველყოს ადვოკატის რეპუტაციის განმტკიცება და იურიდიული პროფესიის პატივისცემა გონივრული დამკვირვებლის თვალში. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს ისეთ ვითარებას, რომელსაც შეუძლია თუნდაც ეჭვის საფუძვლის გაჩენა საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის თაობაზე. ადვოკატი უნდა ზრუნავდეს ყოველგვარი ზეგავლენისგან დამოუკიდებლად წარმართოს საქმიანობა და არ დაუშვას მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა, თუნდაც აღნიშნული კლიენტის მითითებებიდან გამომდინარეობდეს.

7.7 მოცემულ შემთხვევაში, 2001 წლიდან დაწყებული დავა, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნებით გრძელდებოდა წლების განავლობაში და-ძმას ნადია და მ. ხ.ებს შორის, ადვოკატის მოქმედებით გაგრძელდა ახალი დავით, სადაც საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს უკვე არა ნ. ხ., არამედ ადვოკატი ნ. ხ. წარმოადგენს. შესაბამისად, სამართლებრივი დავის პროცესში, კლიენტის სახელზე რიცხული ქონების გადაფორმებით ადვოკატი ნ. ხ. გასცდა საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს, შევიდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის ფარგლებში, რაც შემდგომში გახდა ახალი სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების საფუძველი. ადვოკატ ნ. ხ.-ს ახსნა-განმარტების მიუხედავად, რომლის მიხედვით მან შეისყიდა ნ. ხ.-ს საკუთრებაში არსებული ქონება, ვინაიდან თავად არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლი, წარმოშობს ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს და რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მის შემდგომ საქმიანობაზე. ადვოკატის მიერ ქონების შესყიდვით, მისი კლიენტი ჩამოშორდა სადავო სახლს და ახალი დავის ფარგლებში ადვოკატმა განაგრძო საპროცესო მხარედ მონაწილეობა, რაც ნ. ხ.-მ შესაძლოა განახორციელა როგორც პირადი ინტერესების ასევე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. თუმცა, ასეთ ვითარებაშიც, ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა ვერ იქნება გამართლებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით.

7.8 ეთიკის კომისიამ ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მოახდენის თაობაზე იმსჯელა გადაწყვეტილებაში საქმეზე N057/10, სადაც აღნიშნა, რომ ასეთი მოქმედება „არამარტო კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებითი ნაწილის მიმართ კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას, რადგან საზოგადოებას ასეთ შემთხვევებში ექმნება წარმოდგენა ადვოკატთა მიმართ, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით ცდილობენ კლიენტისათვის წარმომადგენლობის განხორციელებას“.

7.9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

7.10 აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ს მოქმედებებმა გავლენა იქონია მის დამოუკიდებლობაზე, რითაც ზიანი მიადგა ადვოკატის პროფესიას. თუმცა

კოლეგია ითვალისწინებს გადაცდომის სიმძიმეს, ხარისხს, ასევე იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ნ. ხ. არ ყოფილა დისციპლინირებული, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან. შესაბამისად განხილვის კოლეგია მიზანშეწონილად თვლის ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ გამოყენებული იქნას დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე, მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №086/18 ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. ხ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/